უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (66) 2016

„შემოდგომის ლეგენდა 2016“ – ფინალი

2016 წლის შემოდგომაზე, თსუ-მ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული და ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდები უკვე მერვედ მიიწვია ლიტერატურულ კონკურსზე "შემოდგომის ლეგენდა".

მერვე „შემოდგომის ლეგენდის“ ლოკაცია ამჯერად „ყვარლის ედემი“ გახლდათ. თსუ-ს და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი კონკურსი 29 სექტემბერს დაიწყო და პირველი ეტაპი – შიდა შესარჩევი ტური, ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა. მონაწილეობის მსურველებმა თბილისში აკრედიტებული უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლიდან, საკუთარი ნაშრომები წარადგინეს, მათ შორის მოთხრობები, ნოველები და ნაწყვეტები ვრცელი ტექსტებიდან. შემდეგ ეტაპზე შიდა შესარჩევი ჟიური ჩაერთო, რომელსაც ათი ფინალისტი უნდა გამოევლინათ.

ჟიურიმ სამასზე მეტი ნაწერი მიიღო, შეინიშნებოდა წერის ზოგადი თემატიკის ცვლილებაც. დათო გორგილაძე, რომელმაც 2012 წლის „შემოდგომის ლეგენდაში“ გაიმარჯვა, ჟიურის წევრი იყო, ნაწერებში გამოკვეთილი ახალი ტენდენციების შესახებ გვესაუბრება.

„წელს წავიკითხეთ, დაახლოებით, 330-მდე ნაწერი, ვფიქრობ რომ თემების არჩევის თვალსაზრისით, დადებითი ტენდენცია შეინიშნება, იმ მხრივ, რომ სტუდენტები უკვე ნაკლებად წერენ

გაგრძელება მე-3 გვ.

საერთაშორისო ინგლისურენოვანი პროგრამა უნივერსიტეტში – შესაძლებლობა უცხოელი სტუდენტებისთვის

ბაშირ ჰასან ოდა და იასირ აბუბაიდი პირველი თაობის უცხოენოვანი სტუდენტები არიან, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან პროგრამაზე „მედიცინა“ ჩაირიცხა. უკვე მეხუთე წელია რაც ორივე მათგანი თბილისში ცხოვრობს და სწავლობს. კიდევ ერთი წლის, ანუ კურსის დასრულების შემდეგ მათ დიპლომირებული მედიკოსის ხარისხი მიენიჭებათ.

ბაშარი, სპეციალობით სონოგრაფერია, თუმცა სპეციალობის შეცვლა და რადიოლოგობა გადაწყვიტა. როგორც ამბობს, სახელმწიფო უნივერსიტეტზე არჩევანი ძირითადად ორი მიზეზის გამო შეარჩია: მისი ასაკის (ორმოც წლამდე) სტუდენტებისათვის საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეული ასაკობრივი შეზღუდვა არსებობდა, გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტია, რომელში სწავლასაც ერაყის განათლების სამინისტრო ურჩევს ერაყელებს.

იასირმა, რომელიც ჯერ სულ 20 წლისაა, თავისი უფროსი მეგობრის მსგავსად, ერაყის განათლების სამინისტროს რეკომენდაცია გაითვალისწინა და საქართველოს უძველეს უნივერსიტეტში გადაწყვიტა სწავლა. გარდა ამისა, მისთვის მისაღები აღმოჩნდა გადასახდელი თანხაც. მას ნევროპათოლოგი სურს გამოვიდეს. ლექციით და ლექტორიებით ორივე კმაყოფილია. როგორც ამბობენ თავიდან, როდესაც საქართველოში ახალი ჩამოსულები იყვნენ, ლექტორები ისეთი საკითხების თაობაზეც აძლევდნენ ღირებულ რჩევებს, სწავლებას რომ საერთოდ არ უკავშირდება. სპეციალობის შესაბამისად, საქართველოში სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ, თუკი შესაბამისი ინგლისურენოვანი პროგრამა ამოქმედდა. ამ დროისთვის მათ ყოველ დღე

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ სტუდენტების საინტერესო პროექტები თბილისის ურბანული სივრცის გაუმჯობესებისთვის

ურბანული სივრცე დონაციის აპარატით, ლედ ეკრანებითა და მზის ენერგიაზე მომუშავე ბატარეებით, სკამები, რომლებიც თბილის წყლის ცირკულაციის დახმარებით თბება და ზამთარში სკვერს სოციალური სივრცის ფუნქციას უნარჩუნებს – ეს თსუ სტუდენტების პროექტებია, რომლებიც წელს „მეიქათონის“ კონკურსის საუკეთესო 15 ნამუშევარს შორის მოხვდა. თბილისის მერიის მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ორგანიზებითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამართული კონკურსის ფარგლებში, მონაწილე გუნდებმა თბილისის განვითარების ურბანულ-ინოვაციური იდეები წარმოადგინეს. 165 გუნდიდან ფინალური ეტაპისთვის 15 საუკეთესო იდეის მქონე გუნდი შეირჩა, მათ შორის ორი იდეის ავტორი თსუ სტუდენტები, ვაჩე გუნდიშვილი და ენდი ჭელიძე არიან. თსუ რექტორმა ორივე მათგანს ფულადი ჯილდო გადასცა.სტუდენტების იდეები თსუ „ფაბ-ლაბში“ განთავსებული დანადგარების მეშვეობით სამგანზომილებიან მოდელებად გადაიქცა. ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტი ვაჩე და სოციოლოგი ენდი მომავალშიც აპირებენ „ფაბ-ლაბთან“ თანამშრომლობას და ახალი იდეების განხორციელებას, ისინი გვიყვებიან სკუთარი იდეებისა და იმ გზის შესახებ, რაც მათ ამ კონკურსამდე გაიარეს.

ვაჩე გუნდიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ეთნოლოგიის მიმართულება, მეოთხე კურსი:

2012 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პირ-

გაგრძელება მე-3 გვ.

თსუ ფაკულტეტების მინი-ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებული – „თსუ პრო“

მინი ფეხბურთის ტურნირში, რომელშიც ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ყოველ სემესტრში იზრდება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდმა „თსუ პრო“ გაიმარჯვა. ფინალში გუნდმა პენალტების სერიით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი „დელ-მარი“ (1:1(4:2)) დაამარცხა. გამარჯვებულ გუნდს თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თასი გადასცა. პრიზები ერგო „დელ-მარის“ მოთამაშეებსაც: საუკეთესო მეკარედ გიორგი სანაძე, ხოლო ტურნირის ბომბარდირად სანდრო შეყლაშვილი დასახელდა. ტურნირში მესამე ადგილზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდი „მაღლივის რეალი“ გავიდა. ტურნირი მინი ფეხბურთში თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ორგანი-

გაგრძელება მე-4 გვ.

წარმატებული სტუდენტები თსუ-დან

ბაკალავრიატის საფეხურის დამთავრების შემდეგ სტუდენტები სწავლას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აგრძელებენ. სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამებს თსუ შვიდივე ფაკულტეტი სთავაზობს. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-მ 83 სამაგისტრო პროგრამაზე გამოაცხადა მიღება.

გვ. 2

ვისწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“ „თამაშით“

„ვეფხისტყაოსნის'' პირველი ფერადი, ილუსტრირებული სამაგიდო თამაშის ავტორი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, დოქტორანტურის მე-3 კურსის სტუდენტი ლევან გელაშვილია. სამაგიდო თამაშის მიზანია ლოგიკური და სააზროვნო უნარების განვითარება, პოემის აფორიზმებისა და ციტატების დამახსოვრება. იდეის ავტორის თქმით, პროექტი „ვეფხისტყაოსნის'' პოპულარიზაციისა და თანამედროვე ინტერაქციულ გარემოში მისი დაბრუნებისთვისაა შექმნილი. ილუსტრაციები სპეციალურად სამაგიდო თამაშისთვისაა შექმნილი მხატვარ ნინო გელაშვილის მიერ. სამაგიდო თამაშის პრეზენტაცია, თსუ-ში შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე – „ვეფხისტყაოსანი“ გაიმართა.

ლევანი ამბობს, რომ იდეა ვეფხისტყაოსნის თამაშის შესახებ მაშინ გაუჩნდა, როდესაც დაწვრილებით გაეცნო პოემის ბედს – როგორ ცხოვრობდა ეს ტექსტი ხალხის ცნობიერებაში.

გვ. 4

თსუ – სკოლის მოსწავლეთათვის

რას წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებელი ზოგადად და კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? როგორ გამოიყურება ლექტორი და სტუდენტი? რა ფორმატით და სად გარდება ლექციები? ამ კითხვებს, საკუთარ თავს საკარაუდოდ ყველა სკოლის მოსწავლე და მომავალი აბიტურიენტი უსვამს.

კონკრეტული პასუხების მიღება ამ კითხვებზე და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვა სკოლის მოსწავლეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეუძლიათ, სადაც სხვადასხვა ასაკის სკოლის მოსწავლეებს „ექსკურსიამძღოლობას“ უწევეტი აკადემიური ცენტრის შემადგენლობაში არსებული „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ან თსუ მუზეუმის თანამშრომლები უწევენ.

თსუ პირველი კორპუსის ნახვისას უნივერ-

გვ. 4

წარმატებული სტუდენტები თსუ-დან

პირველი გვერდიდან

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და კონკრეტული პროგრამით გათვალისწინებული წესის საფუძველზე მოხდა. მაგისტრატურის საფეხურზე არსებული მასალის სიმრავლისა და სირთულის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული თსუ-ში მიმდინარე სამეცნიერო, ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებსა და იღებენ სასწავლო გრანტებს.

აქტიური და გამორჩეული სტუდენტების წასახალისებლად, ქალაქ თბილისის მერიამ 155 წარჩინებულ მაგისტრანტს და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სოციალურად დაუცველ სტუდენტს, თბილისის მასშტაბით, სერტიფიკატები და მაღლობის სიგელები გადასცა. მათ შორის 27 თსუ სტუდენტია. პროგრამის მიხედვით, 75 მაგისტრანტს 450 ლარი გადაეცა, სოციალურად დაუცველ 80 სტუდენტს კი მუნიციპალიტეტმა შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური დაუფარა. სტიპენდიის მოპოვება თსუ მაგისტრატურის იმ სტუდენტებმა შეძლეს, რომლებსაც 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში მიღებული ჰქონდათ არანაკლებ 91-100 ქულისა (A კატეგორია – ფრიადი).

27 სტუდენტიდან მერიის სტიპენდია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან რვა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ხომასურიძე, მოგვიყვებიან თსუ-ში სამაგისტრო სწავლებისა და განვითარების იმ სხვადასხვა საშუალების შესახებ, რომლებმაც მისცეს მათ საშუალება ყოფილიყვნენ სტიპენდიატი სტუდენტები.

დიანა კონჯარია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, II კურსი

ვსწავლობ სლავური ფილოლოგიის კათედრაზე, ბაკალავრიატი კი დავამთავრე ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით. შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობიდან უდიდესი ინტერესი გამაჩნდა ორი მეცნიერებისადმი, ეს გახლავთ — ისტორია და უცხოური ენები. ამ მიმართულებების ძირეული შესწავლის შესაძლებლობას კი სწორედ ჩვენი ფაკულტეტი და კერძოდ სლავური ფილოლოგიის მიმართულება იძლევა. ბავშვობიდან კარგად ვიცი რუსული, მეორე კლასიდან ვსწავლობდი ინგლისურს. ამჟამად, ვსწავლობ პოლონურს და მინდა ვთქვა, რომ არ ვაპირებ გაჩერებას. ჩვენს უნივერსიტეტს ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, არსებობს უამრავი გაცვლითი პროგრამა და კონკურსი, ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის კონფერენცია, საჯარო ლექცია. ასევე ჩვენს ფაკულტეტთან ფუნქციონირებს სამეცნიერო წრე, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს არა მარტო წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობები, არამედ სრულყონ ისინი.

აქტიურად ვიღებდი კონფერენციებში მონაწილეობას. ყველაზე დასამახსოვრებელი კი შარშანდელი სამეცნიერო კონფერენცია გახლდათ. მახსოვს სიხარულის ის განცდა, როდესაც გამარჯვებულად დამასახელეს. დამეთანხმებით, რომ ამ გრძნობას ვერაფერი შეედრება.

გიორგი ხომასურიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, მაგისტრატურის II კურსი

2015 წელს ჩავაბარე გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრატურის პროგრამაზე „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“. ინტერესი იმ სპეციალობისადმი, სადაც ვსწავლობ განაპირობა ბუნებისა და

გარემოს შეცნობის სურვილმა, სწორედ გეოგრაფიის აღნიშნული მაგისტრატურის პროგრამაა განკუთვნილი გარემოსა და მის წინაშე მდგარი პრობლემების კვლევისათვის. ჩემი არჩევანი თსუ-ში სწავლასთან დაკავშირებით, განაპირობა აღნიშნული უნივერსიტეტის ავტორიტეტმა და სწავლის დონემ.

იმისათვის, რომ იყო წარმატებული სტუდენტი თსუ-ში განვითარების ბევრი საშუალებაა. უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელიც მკითხველს მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს და ჰყავს პროფესიონალი აკადემიური პერსონალი. გარდა სწავლისა, აქტიურად ვმონაწილეობდი და ახლაც ვმონაწილეობ კვლევით საქმიანობაში. მონაწილეობა მაქვს მიღებული უნივერსიტეტის სხვადასხვა კონფერენცია, ორ მათგანში მიღებული მაქვს პირველი ადგილი. გარდა კონფერენციებისა, ვარ ხუთამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. როდესაც ხარ გამორჩეული სტუდენტი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ხარ მისაბაძი მაგალითი სხვებისთვის.

ნათია ბრეგვაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები, II კურსი:

მაგისტრატურაზე ჩაბარება ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე გადავწყვიტე. საერთოდ, ეს სფერო: კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა და მედია არის ის, რაც მაინტერესებს და სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებ მომავალში პროფესიულ საქმიანობას და აკადემიური განათლების მიღების გაგრძელებას.

ვფიქრობ, რომ თსუ წლების განმავლობაში უფრო და უფრო ვითარდება და უკეთესი უნივერსიტეტი ხდება. კონკრეტულად ჟურნალისტიკის მიმართულებაზე თუ ვისაუბრებთ, ბოლო წლებში გარემონტდა და აღიჭურვა თსუ-ის მულტიმედია ცენტრი, სადაც ნებისმიერი სახის საკმაოდ მაღალი ხარისხის ტექნიკაა: კამერები, შტატივები, მიკროფონები, ფოტოაპარატები. სამაუწყებლო მედიის საგნის გავლისას, პირდაპირ ეთერში მუშაობის პროცესიც

გავიარეთ და „თოქ-შოუც“ ჩავწერეთ. სივრცეც და ტექნიკური ბაზაც ამის საშუალებას იძლევა. გარდა ჩემი უშუალო პროფესიისა, თსუ-მ მომცა პორტუგალიური ენის სწავლის საშუალება, რაც ყოველთვის მინდოდა. უნივერსიტეტში არის პორტუგალიური ენის ცენტრი, სადაც უცხოელი პროფესორი ასწავლის ენას. მე ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი, მერე გავიმარჯვე კონკურსში და როგორც საუკეთესო სტუდენტი ერთი თვით წასული ვიყავი ლისაბონის უნივერსიტეტში საზაფხულო ენის კურსებზე.

თსუ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი მედიასაშუალებებთან, სადაც მაღალი ქულების მქონე სტუდენტებს, ჟურნალისტიკის მიმართულებას ვგულისხმობ, შეუძლიათ სტაჟირების გავლა. მეც მომიწია ტელე და რადიო არხებზე მუშაობა, რამაც საკმაოდ დიდი გამოცდილება მომცა.

წინა წელს მე და ჩემმა ჯგუფელებმა მონაწილეობა მივიღეთ „მისია 2015“-ში, რაც ითვალისწინებდა კონკრეტული კომპანიისთვის მარკეტინგული პროექტის დაგეგმვას და პიარ-სტრატეგიას. კონკურსში ერთ-ერთი საპრიზო ადგილიც ავიღეთ.

თსუ სტუდენტების საინტერესო პროექტები თბილისის ურბანული სივრცის გაუმჯობესებისთვის

პირველი გვერდიდან

ველივე სემესტრის ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი ინტერესები შეიცვალა და შიდა საუნივერსიტეტო მობილობით გადავედი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ეთნოლოგიის მიმართულებაზე. ლექტორების და სემინარის ხელმძღვანელების პროფესიონალურმა, ინდივიდუალურმა მიდგომამ ბავშვებისადმი და სწავლისათვის კომფორტულმა გარემომ ჩემზე დადებითად იმოქმედა და მიბიძგა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვისაკენ. მონაწილეობა მივიღე რამდენიმე სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში და ჩემი ნაშრომი შელოცვების შესახებ სამეცნიერო კრებულშიც მოხვდა. უნივერსიტეტმა ჩემი იმედები გაამართლა.

„მეიქათონის“ შესახებ უნივერსიტეტში გავიგე. საჭირო იყო შეგვექმნა ურბანული ელემენტი, რომელიც თბილისს დადებითად წაადგებოდა და შეიგანდა წვლილს მის უკეთ განვითარებაში. პირობებს გავეცანი და პროექტის იდეა მალევე გამიჩნდა. მეგობრებთან იდეის განხილვის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ღირდა მისი განხორციელება, მით უმეტეს, რომ მყავს მეგობარი, რომელმაც შეძლო ტექნიკურ საკითხებში დამხმარებოდა. იდეის ფურცელზე და სამგანზომილებიან პროგრამაში გადატანის შემდეგ, შევავსეთ კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო აპლიკაცია. შედეგებმა არ დააყოვნა და შევავტყობინეს, რომ ჩვენი პროექტი თხუთმეტეულში მოხვდა.

ვაჩე გუნდიშვილი

ენდი ჭელიძე

პროექტზე – „Shelchair” ოთხი დღის განმავლობაში ვმუშაობდით. ის წარმოადგენს სკვერის სკამს, რომელიც თბილი წყლის ცირკულაციის დახმარებით თბება; შესაბამისად ზამთრის პირობებშიც ნარჩუნდება სკვერების, როგორც სოციალური სივრცის ფუნქცია. სკამს სხვა ფუნქციებიც გააჩნია: ის წარმოადგენს ველოსიპედის სადგომს და დენის წყაროს. პროექტში ყურადღება ცხოველებსაც დავუთმეთ და მათთვის გასათბობი ადგილი დავამატეთ. შედეგად მივიღეთ საკმაოდ კომპაქტური და ეკონომიური სკამი, რომელიც რამდენიმე ფუნქციას მცირე ენერგიის ხარჯზე ითავსებს. პროექტზე ვმუშაობდით ორნი: მე და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის მიმართულების სტუდენტი ლევან ქართველიშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაბ-ლაბში, სხვადასხვა დანადგარების საშუალებით დავამზადეთ მცირე ზომის მაკეტი, რომელიც მოიცავდა სკამის სამ განზომილებიან მოდელს და გარემოს დეტალებს.

პროექტების პრეზენტაცია გაიმართა სასტუმრო „ბილთმორის“ საპრეზენტაციო სივრცეში. იმის მიუხედავად, რომ საპრიზო ადგილებზე ვერ მოვხვდით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა გიორგი შარვაშიძემ თავად გადმოგვცა წამახალისებელი საჩუქარი აქტიურობისათვის.

გარდა ამისა, გადმოგვეცა „ფაბ-ლაბის“ ვაუჩერი, რომლის საშუალებითაც შევძლებთ მომავალ პროექტებზე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიაში ვიმუშაოთ.

მსგავსი პროექტები არა მხოლოდ ახალისებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, არამედ სტუდენტებს აძლევს თვითგამოხატვის და თავის წარმოჩენის საშუალებასაც.

ამჟამად, ვმუშაობ ჩემს პროექტზე – “Monkey Business boards”, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდებში და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკეიტბორდების პოპულარიზაციას.“ Monkey Business boards”-ის დაფები არის ქართული პროდუქტი, რომელსაც უკვე მრავალი მფლობელი გამოუჩნდა საქართველოში და არა მარტო. ვაპირებ საქმიანობის გაფართოებას და თანამედროვეობისთვის კონკურენტუნარიანი „ლონგბორდების“ და „კრუიზერების“ წარმოებას სწორედ აქ, სადაც სპორტის ეს სახეობა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს.

ენდი ჭელიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, IV კურსი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2013 წელს ჩავაბარე. სიმართლე გითხრათ, აღნიშნულ ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების გაგრძელებას ვაპირებდი, თუმცა შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სოციოლოგია არის ის სფერო, სადაც ჩემს მომავალს ვხედავ.

ეს მიმართულება არ ეხება მხოლოდ ერთ, კონკრეტულ საკითხს, არ ბის ჩარჩოებში. გვაქვს ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი ცხოვრების ნებისმიერი სფეროდან. ვსწავლობ და ვუყურებ არსებულ მოვლენებს „სხვა“, სოციოლოგიური თვალით. თსუ იყო და ითვლება ნომერ პირველ უნივერსიტეტად საქართველოში და ამაში დავრწმუნდი მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის კარი შევაღე. ალბათ, ხშირად მოგისმენიათ ან წაგიკითხავთ უკმაყოფილო სტუდენტების შესახებ, თუმცა არსებული პრობლემების მიუხედავად, ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს ის ადგილია, სადაც საქართველოში ყველაზე ხარისხიან განათლებას ვიღებთ, თუმცა გვსურს უკეთესი.

მეიქათონი თსუს და თბილისის მერიის ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანს წარმოადგენდა ურბანული ელემენტის პროგოტიპის შექმნა. თსუ-ს ფაბ-ლაბზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ მე და ჩემმა გუნდელმა მექი გიორგაძემ, რომელიც გრაფიკული დიზაინერი და არაერთი კონკურსის გამარჯვებულია, გადავწყვიტეთ, ჩვენი იდეებისა და შესაძლებლობების გაერთიანებით, შეგვექმნა ჯგუფი „KickArt“-ი და მონაწილეობა მიგვეღო მეიქათონის კონკურსში.

პირველი ეტაპი იყო „ბრეინ სთორმინგი“, სადაც იდეების გენერირება მოხდა, გადავარჩიეთ საუკეთესო, რის შემდეგაც მექიმ შექმნა იდეის 3 მოდელი, რომელიც საუკეთესო 15 პროექტს შორის აარჩიეს. ბოლო ეტაპზე კი ფაბ-ლაბის დანადგარების გამოყენებით, ლაზერული მჭრელითა და 3 პრინტერით ხორცი შეესხა ჩვენს იდეას.

ჩვენი პროექტი არის მაღალტექნოლოგიური საგამოფენო სივრცე, რომელიც მოიცავს სამ ელემენტს: 1. საგამოფენო სივრცეს დონაციის აპარატით და ლედ ეკრანებით; 2. ინოვაციური სკამი, მზის ენერგიაზე მომუშავე ბატარეებით, რომლითაც მობილურების და ლეპტოპების დამუხტვას შეძლებენ, მაღალსიჩქარიან WIFI-ს და ველოსიპედის პარკინგს; 3. პროექტის მესამე ელემენტია ბევრი სიმწვანე.

იდეის სახელწოდებაა „KickArt“-ი და ამით მოვუწოდებთ საზოგადოებას, რომ „უბიძგონ ხელოვნებას“!

იდეის არსი შემდეგნაირია: ადამიანი ეწვევა ამ ადგილს (მათ შორის ველოსიპედით, ველოპარკინგი კი საშუალებას მიცემს უპრობლემოდ დაადინავოს ველო), დაათვალიერებს ნამუშევრებს (ნამუშევრები წინასწარ შეირჩევა და ახალი ნამუშევრების წარდგენას სისტემატიური სახე ექნება. ლედ ეკრანები მცირე ენერგიას მოიხმარს და საკმაოდ ეკონომიური იქნება, როგორც ენერგიის დაზოგვის მხრივ, ასევე ახალი ნამუშევრების განთავსების მხრივაც), შემდგომ შეძლებს, სურვილისამებრ, მოწონებულ ნამუშევარს გადაურიცხოს თანხა და, რაღა თქმა უნდა, დაისვენებს სიმწვანეში, ხელმისაწვდომი ექნება სწრაფი ინტერნეტი და ელექტროენერგია.

ურბანული სივრცე ახალგაზრდებისთვის იქცევა თვითგამოხატვის საშუალებად. ქართველ ხელოვანებს მათი ნამუშევრების წარდგენით, მისცემს თანხის გამომუშვების შესაძლებლობას. ტურისტებს სხვა კუთხით გააცნობს ქართულ კულტურას. შედეგად მივიღებთ ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი ცხოვრების წესზე ორიენტირებულ, კულტურისა და ხელოვნების გამაჯანსაღებელ გარემოს.

აღნიშნული იდეის მაკეტზე მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემო თსუ-ს ფაბ-ლაბმა სამი დღის განმავლობაში შეგვიქმნა. მოგვაწოდა ყველანაირი რესურსი და ტექნიკა, ასევე გვეხმარებოდნენ არსებული პირობების მიზანმიმართულად და სწორად გამოყენებაში, შედეგად შევძელით ჩვენი იდეა რეალობად გვექცია და წარგვედგინა ჟიურის წინაშე.

მოულოდნელი აღმოჩნდა თსუ-ს რექტორის, ბატონი გიორგი შარვაშიძის განცხადება, რომ ჩვენ მივიღეთ თსუ-ს ფულადი პრიზი, რამაც არა მხოლოდ ჩვენ, არამედ პროექტის სხვა მონაწილეებიც გააკვირვა, რადგან აღნიშნული პრიზის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტებს არ გვქონდა. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ბატონი გიორგი შარვაშიძე დაინტერესდა ჩვენი პროექტით და დაგვპირდა, რომ დაგვიკავშირდებოდა, მაღლივში დაგეგმილ პროექტებთან ერთად დაგვეხმარებოდა ჩვენი იდეის განხორციელებაშიც. ვიმედოვნებ, რომ მალე გადავალთ მოლაპარაკების ეტაპზე და მოგვეცემა შანსი აღნიშნული პროექტი რეალობად ვაქციოთ. თუმცა, ჩვენ აქ გაჩერებას არ ვაპირებთ. მექი სტარტაპერია, შესაბამისად ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, რომლის პიარსა და მარკეტინგში მეც აქტიურად ვარ ჩართული. ვგეგმავთ მრავალი იდეის განხორციელებას და კიდევ ბევრ კონკურსში ერთობლივ მონაწილეობას.

როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, ახალგაზრდები მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებენ და ახალი ტექნოლოგიების უკეთ ათვისებას და ახალი პროექტების შექმნას გეგმავენ.

შემოდგომის ლეგენდა 2016 – ფინალი

პირველი გვერდიდან

ისეთ თემებზე, როგორიც არის წვიმის წამოსვლა, მოწყენილობა, სევდა, თვითმკვლელობა და ა.შ. ნელ-ნელა ისინი იწყებენ ამბების მოყოლას, ამბების რომლებსაც აქვთ დასაწყისი, კულმინაცია და დასასრული. წელს შევამჩნიეთ, რომ შემოვიდა აღმოსავლური თემატიკა, კერძოდ კი იაპონურ თემატიკაზე იყო რამდენიმე ნაწერი, ასევე სასიამოვნოდ გამაკვირვა იმან, რომ რამდენიმე ტექსტში შეინიშნებოდა გაბედულობა, ისინი არ ერიდებოდნენ ინტიმურ თემებზე საუბარს და ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სექსუალური ურთიერთობები, იყვნენ გულწრფელები და თავიანთ ამბავს გადმოცემდნენ შესწორებებისა და კომპლექსების გარეშე".

ათი საუკეთესო ნაწერის ავტორი საზოგადოებისთვის ცნობილი 7 ნოემბერს გახდა. კონკურსის მეორე ეტაპმა სტარტი 11 ნოემბერს აიღო და მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა და ჟიურის წევრებმა ერთად დაიწყეს მზადება იმპროვიზაციული ტურისთვის. ათი ფინალისტი ყვარელში გაემგზავრა, ყვარლის ედემი და „ნეიტრალური ბაღები" თითოეულმა მონაწილემ საგულდაგულოდ დაათვალიერა, ზოგიერთმა მათგანმა წინასწარ შეარჩია ადგილი, სადაც იმპროვიზაციულ ტურში წერას დაიწყებდა.

კონკურსს სხვა პროექტებისგან ის განასხვავებს, რომ ჟიური და მონაწილეები ერთმანეთისგან განყენებულად არ არიან, ისინი ორი დღის განმავლობაში დიდ დროს ატარებენ ერთად, აქვთ დისკუსია, აძლევენ რჩევებს ერთმანეთს და საუბრობენ სხვადასხვა თემაზე. პირველი დღე, კონკურსანტების აზრით, ერთ-ერთი საინტერესო და მოულოდნელი აღმოჩნდა, დიანა ანფიმიადმა მონაწილეებს მასტერკლასი ჩაუტარა, სადაც ლიტერატურული პერსონაჟების კულინარიული რეცეპტები შემოგვთავაზა. ჟიურის წევრები და კონკურსანტები საყვარელი პერსონაჟების კრეპებს ამზადებდნენ და ერთმანეთს სთავაზობდნენ.

კონკურსის მეორე დღეს პროექტის ორგანიზატორებმა იმპროვიზაციული ტურის თემა გააჟღერეს და პარალელურად საცხოვრებელი სახლის მაკეტიც წარადგინეს. თემა იყო „ახალი სახლი". ბინების გასაღებები კალათიდან ათივე მონაწილემ ამოღო. ზოგს შეხვდა „ბინა№13", ზოგს „პენტჰაუსი", „ბინა დიდი ვერანდით", „ლიფტი" და „ბინა ფანჯრების გარეშეც" კი.

იმპროვიზაციური ტურის გახსნას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე ესწრებოდა, მან პროექტის მიმდინარეობა შეაფასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

„ძალიან კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა, მერვედ ტარდება „შემოდგომის ლეგენდა" ეს ნიშნავს იმას, რომ პოპულარული გახდა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მწერლებს ვუსურვებ წარმატებას, იმედია რომ გაფართოვდება ეს კონკურსი, მეტი უმაღლესი სასწავლებელი და მეტი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას, ვფიქრობთ იმაზეც, რომ პროექტი გავამდიდროთ, გვინდა გაფართოება და ვარაუდობთ იმას, რომ საერთაშორისო ხასიათსაც მიიღებს მომავალ წელს, ამიტომ დიდი გეგმები გავქვს „შემოდგომის ლეგენდასთან" დაკავშირებით".

თემების გამოცხადებასთან ერთად, „ჯეოსელმა" ონლაინ მარათონიც გახსნა. მარათონის პარალელურად ზოგიერთმა მონაწილემ წერა ველოსიპედით გასეირნებით დაიწყო, ზოგმა პუფები ბაღში მშვიდ ადგილას წაიღო, სხვა მონაწილეებმა ჩოგბურთიც ითამაშეს. შუადღისთვის მოკლე მონახაზი უკვე ყველას ჰქონდა. უზიარებდნენ ერთმანეთის იდეებს, სეირნობდნენ და განიხილავდნენ საკუთარ თემებს. ჟიურის წევრებისთვის ნაწერების წარდგენამდე მათ 12 საათი ჰქონდათ. ჟიურის ერთ-ერთი წევრი მწერალი გურამ ოდიშარია პროექტისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გვიყვება :

„მიმაჩნია, რომ რაც უფრო მეტია კონკურსი, მეტია ლიტერატურის წინსვლა. ამ კონკურსის მეშვეობით, ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობიან, უზიარებენ საკუთარ სამყაროს, ჩემს ახალგაზრდობაში, კონკურსები ,ფაქტობრივად, არ იყო. არ იყო ლიტერატურული წინსვლის დინამიკა და მე ჩემით ვცდილობდი განვითარებას. ყოველთვის ვმეგობრობ ახალგაზრდებთან, მათგან ვვებულობ ძალიან ბევრს და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ დიდი პატივია, როდესაც ასეთი პროექტის ჟიურის წევრი ვარ. ეს პროექტი საშუალებას აძლევს ნიჭიერ ხალხს, რომ წარმოჩინდნენ. ძალიან დიდი მადლობა უნივერსიტეტს, „ჯეოსელს" და თითოეულ ორგანიზატორს".

ჟიურის უცვლელი წევრი, პროზაიკოსი მაკა ღლოკონენი:

„ეს პროექტი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს თავი გამოსცადონ და მიიღონ გამოცდილება. ლიტერატურული კონკურსებით, სამწუხაროდ, არაა განებივრებული ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული სივრცე, თითზე ჩამოსათვლელია ასეთი პროექტები, მითუმეტეს მსგავსი სტაბილურობის. „შემოდგომის ლეგენდის" მეშვეობით, ახალგაზრდები ხედავენ იმ რეალურ შედეგებს, რაც აქვთ წინა წლებში გამარჯვებულ სტუდენტებს. ისინი არიან რამდენიმე წიგნის ავტორები, მათი ამ პროექტის ფარგლებში დაწერილი მოთხრობების მიხედვით იღებენ ფილმებს, იდგმება სპექტაკლები, არიან სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები და ა.შ. ხელშეწყობა რა თქმა უნდა, ყოველმხრივ არის თსუ-დანაც და „ჯეოსელისგანაც", ჟიურის წევრები ვთანამშრომლობთ და ვეხმარებით მათ. დანარჩენი, ვინ გადაწყვეტს გახდეს მწერალი უკვე მათზეა დამოკიდებული."

მწერალი დათო ტურაშვილი მოუთმენლად ელის კონკურსანტების ნაწერებს და გამარჯვებულის გამოვლენას:

„მე რომ ვყოფილიყავი სტუდენტი და სტუდენტობის დროს ასეთი გადასარევი შესაძლებლობა მქონოდა, რომ ასეთი ტიპის კონკურსში მიმეღო მონაწილეობა, აუცილებლად მივიღებდი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან დიდი ფინანსური სტიმულია. შესაძლებლობა ბეჭდური გამოცემის და შესაძლებლობა იმის, რომ ბევრი მკითხველი გყავდეს დასაწყისშივე."

12 საათიანი წერის შემდეგ კონკურსანტებმა საკუთარი თხზულებები ჩააბარეს, გამარჯვებული დეკემბრის დასაწყისში გახდება ცნობილი, მანამდე კი თვალი გადავავლოთ ათივე ფინალისტის პირველი ტურის ნამუშევრებს.

ბექა ბერაძე თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტია, მისი ნაწარმოები „როგორ ჩავიქნიე ხელი წერაზე" იმ ადამიანის შესახებაა, რომელსაც მწერლობა უნდოდა. ერთხელაც თხზულების პერსონაჟი კერძო დეტექტივობას გადაწყვეტს და ბიზნესმენის ცოლის თვალთვალს დაიწყებს.

ბადრი ცხომარია თსუ სტუდენტია, მის ნაწარმოებში მთხრობელი ერთი ბიჭი, რომელიც სოფელში ჩადის და ბავშვობას იხსენებს. „ბაბუას არ ერგო კაკლის ხე" – ეს არის ბებიის, შვილიშვილისა და ბაბუის ცხოვრების სევდიანი ისტორია სოფელში.

„მე და რობა იქ ვართ ხოლმე, სადაც კაცები არიან. ფულიანი, მარგოხელა, თმაშეთხელებული კაცები. თავიდან, ყოველთვის ძნელია მიხვდე ბოლოს ვისთან აღმოჩნდები." თსუ სტუდენტის, მარიამ სულამანიძის თხზულება „სახლი რომელიც ვერ დავტოვე" გოგონაზეა, რომელსაც მოულოდნელად ერთი ადამიანი და ერთი სახლი უყვარდება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, ტუხა კვინიკაძის თხზულება თენგოზეა, რომელსაც საერთოდ არავინ უყვარდა ზინას და მაღაზიის გარდა. თენგოს სიყვარულის მიუხედავად, მოვლენები სხვაგვარად ვითარდება : ზინა გათხოვდება, მაღაზია კი, რომელიც ასევე ზინას გამო უყვარდა, დაიწვება. „თენგო და ზინა და მაღაზია, რომელიც დაიწვა" დიდ სევდაზეა.

„...მანქანებით სადღაც მივყავართ. ოღონდ ჯერ არ ვიცი სამშვიდობოს გავყავართ თუ სადმე საომრად, იმიტორო თუ საომრად, მე ტყუილა მივყავარ, მაინც არ მისწავლია მიზანში სროლა, აბა რა ვიცოდი მართლა თუ დამჭირდებოდა." მარიამ ზუბაშვილი თსუ სტუდენტია, მის თხზულებაში „Салют, вера" ორი რეზერვისტის ანზორ რევიასა და გოგა სიჭინავას დღიურს ვკითხულობთ, მოვლენები 2008 წლის აგვისტოში ვითარდება.

თსუ სტუდენტის, თეკლა ერემეიშვილის „დაურგველ ხეთა ჩრდილებში" არის თხზულება, რომლის ისტორია გოგონას ირგვლივ ვითარდება. საბაჟხულო არდადეგებზე უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გოგო სოფელში მამის საფლავზე მიდის, შემდეგ მშობლიურ სახლში დედას ნახულობს. დედას ახალი ქმარი ჰყავს.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის, ლუკა გორდაძის ნაწარმოები „თავის უფლება" იმ ადამიანზეა, რომელსაც თავი მოაჭრეს. თხზულება სამი ნაწილისგან შედგება : თავქუდმოგლეჯილი, თავზარდაცემული და მძიმე თავ-თავი. სამივე ნაწილში გადმოცემულია ერთი ისტორია ამ ადამიანისა და მისი თავის თანაცხოვრების შესახებ.

„ნეტავ, ფეხზე რამე თბილი ჩამეცვა" – ასე იწყება კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტის, ნაგა გელაშვილის თხზულება „ეფემიას დედა". მთხრობელი ეფემიას დედაა, ზამთარია და ცივა, სოფლის მოედანზე გამოსულ ქალს ფეხები გაეყინა და კარგად აღარ ახსოვს, სად უნდა ჩამოიაროს ქალაქის ავტობუსმა.

„ყოველ ჯერზე, როცა მგონია რო ორ კაცს გავცდი, რაღაცას პოულობენ და სამასი კაცით უკან მგზავნიან." – ეს ამონარიდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის, მინდია არაბულის თხზულებიდანაა „საუზმის წერილები". ამბავს ჰყვება შვილიშვილი, რომელსაც პაპა წერილებს უგზავნის საიქიოდან.

ცოტნე ავსაჯანიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, მის ნაწარმოებში „დაკარგული გიტარა" ისტორია ორი ახალგაზრდის, ნიცასა და ლეოს ირგვლივ ვითარდება. ისინი ნიცას ბაბუის ნაქონ გიტარას ეძებენ იქ, სადაც წესით უნდა ეძებონ, გიტარა კი სულ სხვაგან აღმოჩნდება.

ამ თხზულებებმა მათ ავტორებს „შემოდგომის ლეგენდის" ფინალის ბილეთი მისცა. როგორც აღვნიშნეთ, კონკურსის გამარჯვებული დეკემბრის დასაწყისში გამოვლინდება.

საერთაშორისო ინგლისურენოვანი პროგრამა უნივერსიტეტში – შესაძლებლობა უცხოელი სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

ხუთსაათიანი ლექციები უტარდებათ, საიდანაც ორი საათი თეორიას ეთმობა, სამი კი პრაქტიკული ხასიათისაა.

როგორც მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მენეჯერი თამარ რუხაძე აცხადებს, ამ დროისთვის მედიცინის ფაკულტეტზე 186 აქტიური უცხოელი სტუდენტი სწავლობს, რომელთა უმეტესობა ერაყიდანაა. უახლოესი პერიოდის განმავლობაში ელოდებიან სტუდენტებს ინდოეთიდან, რომლებისთვისაც ერთი ჯგუფის შექმნას უკვე იანვრისთვის გეგმავენ.

ქართველი სტუდენტებისაგან განსხვავებით, რეალურად მედიცინის ფაკულტეტზე ჩასაბარებლად უცხოენოვანი სტუდენტისთვის ძირითადი მოთხოვნა ინგლისური ენის ფუნდამენტურად

ცოდნაა. მართალია, გამოცდების ჩაბარების თვალსაზრისით ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის სხვასდასხვა სტანდარტი მოქმედებს, მაგრამ მედიცინის ფაკულტეტის პირველი საფეხურის სწავლება ორივე ენაზე ერთნაირი ფორმატით მიმდინარეობს. კერძოდ, თამარ რუხაძის თქმით, „ეს არის სისტემებზე დამყარებული, მედიცინის პირველი საფეხურის სწავლება. განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მეთოდის მსგავსად იგი არის ორიენტირებული არა საგნების, არამედ სისტემების შესწავლაზე და ბლოკებად არის დაყოფილი. თუ აქამდე ვსწავლობდით ფიზიოლოგიას, ანატომიას და ბიოქიმიას და თვითოეულში ვაბარებდით გამოცდას, ახლა ვსწავლობთ შესავალ ნაწილებს ამ საბაზისო საგნებში და შემდეგ ძირითად ნაწილებს, სისტემებს ბლოკის სახით. მაგალითად, სასუნთქი სისტემის, რომელიც მოიცავს, ანატომიას, ბიოქიმიას, ფიზიოლოგიას და კლინიკურ შესავალს. ანუ სტუდენტმა უკვე I-II კურსზე იცის სისტემა მთლიანად და მასში გაერთიანებული საბაზისო საგნები. აღარ უხდება სხვადასხვა ნაწილიდან ნასწავლი კომპონენტებიდან შეჯამება, არამედ უკვე გარკვეულწილად შეჯამებული მიეწოდება მას. ბლოკების სახით სწავლა უფრო ეფექტიანია, რადგან როდესაც სტუდენტი მაგალითად თერაპიის სწავლას იწყებს, მას არ უწევს მთლიანად საგნების სწავლა, არამედ უხდება მხოლოდ რამდენიმე ბლოკის გაერთიანება".

თამარ რუხაძის თქმით, საბაზისო ნაწილი და საგნები პროგრამის პირველ ორ კურსზე ისწავლება, მესამე კურსი გარდამავალია და მასში უკვე კლინიკური ელემენტები სჭარბობს. შემდეგ კი კურსი მთლიანად კურაციულ სისტემაზე დაფუძნებულ კლინიკურ სწავლებას ეთმობა.

რაც შეეხება განხორციელებულ პრაქტიკულ სწავლებებს, ამ დროს სტუდენტთა ჯგუფი გადანაწილებულია და თუ ორი სტუდენტი ექოსკოპიას ესწრება, ორი რენტგენზე შედის, ორი კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე და ა.შ. მერე კი მათი მათი როტაცია ხდება. ინგლისურენოვან კურსში ჩართული აკადემიური პერსონალის ძირითადი ბირთვი, ბუნებრივია, თავად თსუ მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან შედგება. თუმცა, ამ პროცესში აქტურად არიან ჩართული ასევე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენლებიც, რომელთა რაოდენობა სემესტრულად იცვლება.

ვისწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“ „თამაშით“

პირველი გვერდიდან

პროექტი შვიდი წლის შექმნა და გასულ წელს მისი განხორციელება ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით შეძლო.

ლევანი ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსანი'' ყველა ეპოქაში აქტუალური იყო და იმ ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად ხდებოდა მისი მიგანა ხალხამდე. პოემის ზეპირად ცოდნის და კითხვის ტრადიცია, გაგრძელებათა გაგრძელებები, რომელიც ცალკე აღებული, პოემას ბევრად აღემატება. „ხალხური ვეფხისტყაოსანი'', ავთანდილობა თუ შერმადინობა – ეს ყველაფერი ხალხის კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში, ,ვეფხისტყაოსნის'' ინტერაქტიულ-თამაშობრივ მონაწილეობას გამოხატავდა.

„ვეფხისტყაოსანი იყო ჰიპერტექსტი ე. წ. „სუპერ გუგლი'', რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანები პასუხებს მათთვის საჭირო კითხვებზე პოულობდნენ; როგორ უნდა მეგობრობა, სიყვარული, რა არის ერთგულება. არ არსებობს საკითხი, რომელიც პოემაში არ იყოს მოცემული. პოემა არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აყალიბებდა გემოვნებას, მსოფლმხედველობას და რთულ ვითარებაში ზოგჯერ კომუნიკაციისა და მიმოწერის ყველაზე საიმედო საშუალებაც იყო. ომის დროს, ცენზურის პირობებში, მიმოწერისას დახმარებისთვის წერილის დასაშიფრად, ხშირად პოემის ტექსტს მიმართავდნენ.

პოემის ტექსტს ვხვდებით არამხოლოდ ხელნაწერებში, არამედ ვანის ქვაბის კედლებსა („ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა, თვალნი ვერ გადასწვდებიან'') და სხვა ძეგლებზეც, წიგნის არშიების მინაწერებზე. XIX საუკუნეში ერთი-ერთი მაღაზიის მეპატრონეს კანფეტები ისეთ ქაღალდში გაუხვევია, რომლებზეც რუსთველის აფორიზმები ყოფილა დაბეჭდილი. პოემის პირველი სამაგიდო თამაშებიც ამ პერიოდში გამოჩნდა. საქართველოში პირველი ასეთი ლიტერატურული თამაში ილია ჭავჭავძის დროს დაიბეჭდა. ეს იყო აფორიზმების ლოტო. საბჭოთა პერიოდშიც არაერთხელ განხორციელდა ამ ლოტოს გამოცემა“. – ამბობს ლევან გელაშვილი.

სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე ჩათვალა ლევანმა, რომ მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, დღეს თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა „ვეფხისტყაოსნის'' პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნება.

იდეის ავტორი განმარტავს, რომ სამაგიდო თამაშები ტექსტის სიღრმისეულად გაგების და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა მთელ მსოფლიოში. ლიტერატურული სამაგიდო თამაში უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან უშუალოდ რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში ამოგზაურებს მოთამაშეს და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება. ტექსტის შეცნობისათვის აუცილებელია, მკითხველის იდენტიფიკაცია მის, რომელიმე გმირთან ან მთლიანად ამბავთან. ამ მხრივ, დაფის თამაშებს დიდი შესაძლებლობები გააჩნია. გრაფიკულ-გამომსახველობითი და ტექსტური მხარე ახალი სინთეზური ვარიაციებით არის წარმოდგენილი.

„თამაშობ, ესე იგი მონაწილეობ ამბავში – მოგზაურობ ხელშესახებ სიტყვიერ გარემოში და აფორზმებით იხსნება იმ სამყაროს კარი, რომელშიც ორგანულ ნაწილად იგრძნობ თავს“. – ამბობს ლევანი.

ავტორებმა ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაში რამდენიმე სკოლაში წარადგინეს. ბავშვებმა ხალისით ითამაშეს – ითამაშეს და, რაც მთავარია, ისწავლეს.

პოემაში გამოყენებულია 30 აფორიზმი, მათი ცოდნა საშუალებას აძლევს მოთამაშეს წინ გაიჭრას და გაიმარჯვოს. სამაგიდო თამაში მარათონული პრინციპზეა დამყარებული. იმარჯვებს ის ვინც გადალახავს დაბრკოლებებს და პირველი მივა ფინიშთან. თუ მოთამაშეს სურს სხვა აფორიზმები გამოიყენებოდეს თამაშში, გამოცემას მოპყვება სარეგერვო აფორიზმები და გამოსაჭრელი ბარათები. ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია ასევე მისთვის საინტერესო აფორიზმები ან ტაეპები, რაც გამოცემას არ ახლავს, დაამატოს თამაშს ბარათების სახით და გაამრავალფეროვნოს ის.

იდეის ავტორის სამომავლო გეგმები ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაშის პოლულარიზაციასთან არის დაკავშირებული, რაც სხვადასხვა ტიპის კულტურულ აქტივობებს მოიცავს.

თსუ ფაკულტეტების მინი-ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებული – „თსუ პრო“

პირველი გვერდიდან

ზებით ჩატარდა. ტარიელ გაგელიძის თქმით, მინი ფეხბურთის ტურნირი დასრულებულია, თუმცა, თსუ სტუდენტებისთვის სხვადასხვა ახალი სპორტული შეჯიბრებები უკვე დაიწყო.

ტარიელ გაგელიძე, თსუ სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

ტურნირი მინი ფეხბურთში უკვე დიდი ხანია, რაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის მიერ იმართება. ტურნირს აქვს ყოველ სემესტრული სახე და საკმაოდ დიდი დაინტერესებითაც გამოირჩევა თსუ სტუდენტებში. წელს ტურნირში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულმა 41-მა გუნდმა, რომლებშიც გადანაწილებული იყო, დაახლოებით, 350 სტუდენტი. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ მოქმედი ჩემპიონი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი, „დელ-მარი“ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი, „თსუ პრო“. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოვიდა და გამარჯვებული პენალტების სერიამ გამოავლინა.

მინი ფეხბურთის ტურნირში ჩართული იყო რამდენიმე კომპანია, რომელთაც პროექტის ხარისხის გაზრდაზე საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ტურისტულ კომპანია „Hot Travel“-ს და კომპანია „Red Bull“-ს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპორტული თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში დომინანტ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა, რადგან თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი, რაც ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა, უნივერსიტეტის გუნდების გამარჯვებით დასრულდა. გარდა ქვეყნის შიდა ტურნირებისა, უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდი საერთაშორისო ასპარეზზეც გამოირჩია და ფუტსალის ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლებაც მოიპოვა, დაძლეულ იქნა რა საკმაოდ რთული საკვალიფიკაციო ეტაპი, ეს იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება.

მინი ფეხბურთის ტურნირი დასრულებულია, ახლა მიმდინარეობს კალათბურთის ტურნირი, რომელსაც მოჰყვება ჭადრაკის ჩემპიონატი და სხვადასხვა სპორტული აქტივობა, რომელსაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტი შესთავაზებს უნივესიტეტის ყველა სტუდენტს.

გუნდის კაპიტანი ნიკა ვასაძე თსუ-ში გამართული სპორტული ღონისძიებების ხარისხს აფასებს და ამბობს, რომ გუნდისთვის ეს დღე ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება.

ნიკა ვასაძე, გუნდის კაპიტანი

პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს რეზერვს ლევან არჩუაძეს, რომელიც გუნდის სიმბოლური კაპიტანი იყო და რომელმაც ჩვენ გაგვაერთიანა და ერთ გუნდად შეგვკრა. რაც შეეხება ჩვენი გუნდის მონაწილეობას. ეს ჩვენი მეორე ტურნირი იყო თსუ-ში, პირველ შემთხვევაში მეოთხედფინალში გამოვვარდით, თუმცა შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ და უკვე წელს , თავიდანვე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ვითვლებოდით.

როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც ყველაზე მეტი გოლი სწორედ ჩვენ გავიტანეთ და ყველაზე ცოტა მივიღეთ საკუთარ კარში. ფინალამდე არც თუ ისე რთული გზა გავიარეთ, თუმცა აღსანიშნავია ნახევარფინალური შეხვედრა, როდესაც პირველი ტაიმის 1-3 წაგების შემდეგ, მეორე ტაიმში 7 უპასუხო გოლი გავიტანეთ და საბოლოო ჯამში 8-3 გავიმარჯვეთ. ფინალურ დღეს კი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდს და მოქმედ ჩემპიონს ვხვდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო და თითქმის მთელი თამაში ვიგებდით, მეტოქემ ბოლოს მაინც გაგვითანაბრა ანგარიში და საბოლოოდ მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა, რის შემდეგაც თერთმეტმეტრიანების სერიაში გუნდის ყველა მოთამაშემ შეძლო გოლის გატანა და საბოლოოდ ტურნირის გარდამავალ თასს ჩვენ დავეუფლეთ. მოწინააღმდეგე გუნდს წარმატებებს ვუსურვებ, ისინი კვლავ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტები იქნებიან შემდეგ ტურნირზე.

რა თქმა უნდა, ეს პერიოდი ყველას საუკეთესო მოგონებად დაგვრჩება. რაც მთავარია გუნდმა დავისახეთ მიზანი და ეტაპობრივად მივაღწიეთ მას.

მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ პერიოდში თსუ-ში ძალიან გაიზარდა სპორტული აქტივობების ჩატარების ინტენსივობაც და ხარისხიც, რაზეც ის პრიზებიც მეტყველებს, რომლებიც ჩვენ გამარჯვების შემდეგ დავიმსახურეთ . ამაში დიდი წვლილი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის წევრებს მიუძღვით. ვისურვებდი, რომ მომავალში უფრო მეტი ასეთი ღონისძიება ჩატარდეს და დარწმუნებული ვარ ეტაპობრივად მისი ხარისხი გაუმჯობესდება , რაც სტუდენტების აქტივობას კიდევ უფრო გაზრდის და უფრო სანახაობრივს გახდის მსგავს შეჯიბრებები.

მინი ფეხბურთის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ლუკა თავზარაშვილი დაასახელეს. ლუკა ავსტრიაში გაემგზავრება, სადაც დაესწრება საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების გასვლით თამაშს.

ლუკა თავზარაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრანტობის კანდიდატი, I კურსი: ჩვენი გუნდის მიზანი თავიდანვე ჩემპიონობა იყო, რაც საბედნიეროდ გამოგვივიდა კიდეც. საბოლოო ჯამში, ძალიან დინამიური, ხისტი და ამავდროულად სანახაობრივი ჩემპიონატი გამოვიდა. შორიდან ჩანდა, რომ ფინალამდე მისვლა არ გაგვჭირვებია, სინამდვილეშიც, ალბათ, ასე იყო. ყველა მატჩზე მაქსიმალურად კონცენტრირებულები და მოგვირებულები გამოვდიოდით, შესაბამისად მეტოქეებსაც დებიუტშივე ვუსწორდებოდით. აი, ფინალი კი სხვა რამაა, აქ ფავორიტის ტერმინი არ არსებობს, შანსები ყოველთვის თანაბარია. ჩვენი მოწინააღმდეგე ხისტ, ძალისმიერ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობდა, ასეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში კი ყოველთვის რთულია.

თსუ-ს შიდა ჩემპიონატში პირველად მივიღე მონაწილეობა, შესაბამისად ჩვენს მოწინააღმდეგეზე ერთი შეხედვით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ერთიანი, კარგად დაბალანსებული და გამოცდილი გუნდი. ფინალის დღე ემოციურად ძალიან დატვირთული იყო. გუნდის თითოეული წევრი ვიაზრებდით, რომ დასახული მიზნის მიღწევამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და საკუთარ თავს უკან დახევის უფლებას ვერ მივცემდით. საბედნიეროდ, პირველებმა ჩვენ გავიტანეთ გოლი. ეს კი ფინალში ორმაგად მნიშვნელოვანია, თუმცა მოწინააღმდეგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სპორტული სიმტკიცე გამოიჩინა და მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრა. პენალტების სერია კი ერთგვარი ლატარიაა. აქ გამარჯვებაში ხშირად არც კლასი გეხმარება და არც გამოცდილება. უამრავი მაგალითია, როცა უმაღლესი კლასის ფეხბურთელებსაც კი გადამწყვეტ მომენტში პენალტი გაუცუდებიათ. აი, ჩვენი გუნდის და პირველ რიგში მეკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მენტალურად მაინც ვაჯობეთ მოწინააღმდეგეს.

ორგანიზატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირის მსვლელობისა უამრავი სტუდენტი ესწრებოდა თამაშებს. ხოლო ფინალზე, ტელევიზიები და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც მოვიდა. ეს ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის დამატებითი მოგივაცაა. სასიხარულოა როცა უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სპორტულ აქტივობებს, ეს ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, რაც თანამედროვე სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანია.

სამოყვარულო დონეზე ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული, სანახაობრივი და მოულოდნელობებით აღსავსე ჩემპიონატი. მოულოდნელობით აღსავსე ტურნირი ორი ფაქტის გამო აღმოჩნდა. პირველი, რომ საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოვიგე და მეორე, რომ ამისათვის კომპანია „Hot Travel“-გან ავსტრიის საგზური გადმომეცა, სამოგზაურო პაკეტი და ავსტრია – საქართველოს მატჩზე დასასწრები ბილეთი, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ყოველთვის სასიამოვნოა ასეთი სიურპრიზი, მნიშვნელოვანია როცა კერძო სექტორი აქტიურად ერთვება სტუდენტურ ცხოვრებაში და თავის მხრივ, ისევ და ისევ, ხელს უწყობ ჯანსაღი ცხოვრების წესის ტრენდის ბრდას ახალგაზრდობაში. და ბოლოს, იმ ყველა დადებითი ემოციისათვის რაც ამ ტურნირმა მომცა, მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, ყველა მონაწილეს და თითოეულ ორგანიზატორს!

თსუ – სკოლის მოსწავლეთათვის

პირველი გვერდიდან

სიტეტის ისტორიის გაცნობასთან ერთად სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, მუზეუმები და იქ დაცული ექსპონატები. თსუ მუზეუმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზოოლოგიის მუზეუმია, რომელიც 5000–მდე სადემონსტრაციო ეგზემპლარს ითვლის. მის დამთვალიერებელს საშუალება აქვს ნახოს უნიკალური მარჯნის პოლიპები, პეპლები, ხოჭოები, მოლუსკები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები. აქვე წარმოდგენილია ფრინველთა კოლექცია, რომელიც უნიკალურია, რადგან საქართველოში ბინადარ და გადამფრენ ფრინველთა ყველა სახეობას მოიცავს.ზოოლოგიის მუზეუმი უნივერისტეტის ქუჩა 11, იგივე ზოოლოგების კორპუსში მდებარეობს.

თსუ-ს ფარგლებში მსგავსი ექსკურსიების მოსაწყობად ნებისმიერი სკოლის მასწავლებელს შეუძლია დაუკავშირდეს, როგორც თსუ საბავშვო უნივერისტეტს, ისე თავად მუზეუმის კოორდინატორს.

საერთოდ „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლები ცდილობენ, რომ მათი შემეცნებითი წრეები, თეორიული ლექციების გარდა, კონკრეტული პრაქტიკული მეცადინეობებითაც იყოს დატვირთული და ბავშვებმა მათთვის საჭირო ინფორმაცია საინტერესო სანახაობრივი ფორმითაც მიიღონ.

ერთ-ერთი ასეთი ლექციების ფორმატი უნივერსიტეტის პლანეტარიუმში „ნორჩ ასტონომთა“ სკოლაში ტარდება. პლანეტარიუმი უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მდებარეობს და ყოველკვირეულ ლექციებს აქ პროფესორი შალვა საბაშვილი კითხულობს.

გარდა ამისა, სისტემატურად ტარდება ფიზიკის და ქიმიის მიმართულებით ლაბორატორიული მეცადინეობები, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, სადაც საბავშვო უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორია არსებობს. აქ „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსებს“ პრაქტიკულ ლაბორატორიულ ცდებს ამ საკითხებში, რომელიც სკოლაში ისწავლება, ყოველ ოთხშაბათს პროფესორი რამაზ ლომსაძე უტარებს. ქიმიის მიმართულებით, ასევე პრაქტიკულ ლაბორატორიულ ცდებზე დაფუძნებით კონკრეტულ საკითხებზე ლექციებს სკოლის მოსწავლეებს პროფესორი ელზა მარქარაშვილი უკითხავს.

აქტივობების თავალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავია „ნორჩ გეოგრაფთა სკოლასთან“ არსებული „თსუ ეკო კლუბი“, სადაც პროფესორ გიორგი დვალაშვილის ხელმძღვანელობით, სხვადასხვა სახის კონკურსები, ვიქტორინები და ექსკურსიები სისტემატურად ტარდება. სულ ცოტა ხნის წინ სკოლაში კიდევ ერთი პრაქტიკული კონკურსი გამოცხადდა. „ჩემი თვალით დანახული ბუნება“, ამ კონკურისის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებმა მოწვეული სტუმრის ფოტოგრაფ გოგა ჩანადირის ლექციის შემდეგ თავისი ფოტონამუშევრები უნდა გამოაგზავნონ. კერძოდ, თუ რას თვლის თითოეული მათგანი ბუნების ძეგლად, დაცულ ტერიტორიად და ა.შ.

არქეოლოგიის მუზეუმის ექსპონატებიდან

„ახალგაზრდა იურისტებს“ ყოველ შაბათს თეორიული ლექციებს თსუ დოქტორანტი ია ხახუბია უკითხავს. თეორიული კურსი თავის თავში იმიტირებულ სასამართლო პროცესებსაც გულისხმობს, რომელიც სპეციალურად აღჭურვილ დარბაზში იმართება და ზუსტად სასამართლო დარბაზის მსგავსად არის აღჭურვილი.

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმის, რასაც სკოლის მოსწავლეები თსუ-ში უფასოდ გაეცნობიან. ამისთვის მხოლოდ დროის გამოყოფა და სურვილია საჭირო.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge